პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



წითელი მხედარი

1923
აგვისტო
1
ოთხშაბათი
შესან. მოვლენათა დღიური
მზე ამ. 3 ს. 42წ.
მზე ჩ. 8 ს. 05 წ.
1552 წ. ქ. ყაზანის დაპყრობა.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 331 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 331

დაშნაკელებმაც დაიწყეს თვით-ლიკვიდაცია.

ანტისაბჭოთა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების გახრწნა დარღვევა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს.

დასამარდა ესერების პარტია, მათ მიყვენ მენშევიკები და ეხლა კი ჯერი მიდგა დაშნაკციუტიუნის პარტიაზე.

ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა მათი დეკლარაცია, სადაც ისინი აცხადებენ საქვეყნოდ, რომ სომხეთის მშრომელმა ხალხმა იგრძნო ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროსო.

„ყველა ის, ვინც აწარმოებს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ როგორც ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზე ისე საზღვარ-გარეთ არის სომხეთის ხალხის მოღალატე და მტერი“.

ასეთი სიტყვებით თავდება ხსენებული დეკლარაცია, ამ აქტს ცხადია დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ამისათვის საჭიროა უფრო დეტალურად შევეხოთ დაშნაკელების ასეთი ნაბიჯის გადადგმას.

უნდა ითქვას მართალი, რომ არც ერთ პარტიას არ ქონდა ისე მჭიდრო კავშირი სომხეთის ხალხის ფართო მასებთან და დიდი ავტორიტეტი როგორც დაშნაკელებს.

ეს ფაქტი იყო სწორედ მეტად სამწუხარო და სავალალო, რადგან დაშნაკელების ავანტიურისტულმა საქმიანობამ უარეს მდგომარეობაში ჩააყენა სომხეთის მრავალტანჯული მშრომელი ხალხი.

ვინ იყო დაშნაკციუტიუნის პარტია?

ეს იყო პარტია უაღრესად ნაციონალისტური, რომლის იდეას შეადგენდა დიდი სომხეთის შექმნა.

რა საშუალებას მიმართავდენ დაშნაკელები თავისი მიზნების მისაღწევად?

ისინი აღვივებდენ ეროვნულ შუღლსა და მტრობას სომხებს და მუსლიმანებს შორის. ისინი აწყობდენ არა ერთ და ორ საზიზღარ პროვოკაციას; ეცემოდენ მუსლიმანურ სოფლებს და ცეცხლითა და მახვილით სწვავდენ და აოხრებდენ მათ.

ცხადია ასეთი მეთოდები იწვევდა ასეთივე ნაბიჯებს თათრებისაგან. ისედაც გამწვავებული მდგომარეობა სომხებს და თათრებს შორის ეროვნული ანტაგონიზმის ნიადაგზე, უფრო ღრმავდებოდა და იწვევდა საშინელ სისხლის მღვრელ შეტაკებებს.

გარდა ამისა დაშნაკელები იუდარაც კი მიყიდიდენ სულს ოლონდ თავისი იმპერიალისტური ზრახვები განეხორციელებინათ. მათ სცადეს თავისი იდეის განხორციელება თვით მპყრობელ მთავრობის სატრაპის ვორონცოვ-დაშკოვის მეოხებითაც.

სამოქალაქო ომის დროს დაშნაკელები ხელს უწყობდენ თეთრგვარდიელთა ბრბოებს.

ამასთანავე ერთად, დაშნაკელების პარტია წარმოადგენდა საუკეთესო იარაღს ანტანტისათვის—მისი პროვოკაციული პოლიტიკის გასატარებლად ახლო აღმოსავლეთში.

ამიტომაც იყო, რომ ინგლისელების მიერ ამიერ კავკასიის ოკუპაციის დროს დაშნაკელები დიდის ზეიმით შეხვდნენ მას, როგორც „დიდი სომხეთის“ განმანთავისუფლებელს.

ბევრი მსხვერპლი და უმანკო სისხლი დაჰლვარია „მაუზერისტების“ პარტიამ სომხეთის მშრომელი ხალხისა.

მათი საქმიანობით მშრომელმა მასსამ სასომხეთისამ არა თუ იხილა თავისუფლება და სინათლე, არამედ უფრო მეტად გაღატაკდა და საშინელ ყოფაში ჩავარდა.

მხოლოდ ძლევამოსილ წითელი არმიის თავგანწირულმა ბრძოლამ იხსნა სომხეთი დაშნაკების თარეშისა და სრული განადგურებისაგან...

უკვე სამი წელია, რაც არსებობს საბჭოთა სომხეთი. ამ ხნის განმავლობაში მან მტკიცე ხელით ერთად —თავის მოძმე რესპუბლიკებთან— დაამყარა სრული მშვიდობიანი ცხოვრება და მისცა მშრომელ ხალხს საშვალება შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ხოლო ავანტიურისტული „დაშნაკციუტიუნის“ პარტიის ნაშთები დაძრწიან ევროპის იმპერიალისტების კაბინეტებში და ოცნებობენ დაკარგული ბატონობის დაბრუნებაზე.

ახლად გამოქვეყნებული დეკლარაცია აქ, ამიერ კავკასიაში დარჩენილ დაშნაკელებისა, მოწმობს, რომ ამ პარტიასაც დიდი დღე აღარ დარჩენია. თუმცა დეკლარაცია პარტიის გაუქმების შესახებ, არაფერს ამბობს, მაგრამ დეკლარაციის უკანასკნელი სიტყვები კი, ნათლად ჰმოწმობს იმას, რომ სულ მოკლე ხანში—დეკლარაციის ავტორები—„პარტიის გაუქმების“ შესახებაც იტყვიან რასმეს.

კიდევ ერთი კონტრ-რევოლიუციონური ნაშთი ჩაბარდა დავიწყების ისტორიას!

პრესა

მრავალ მნიშვნელოვანი იყო ყოფილ მენშევიკების საქალაქო კონფერენცია თბილისში. სხვა და სხვა საკითხებთან ერთად ყოფილი მენშევიკები, კონფერენციაზე ნაციონალურ საკითხის თეზისებში დასმულ წითელი არმიის შესახებ, ღებულობენ მეტად ღირსშესანიშნავ რეზოლიუციას. ასეთი გადაწყვეტილება აღნიშნული კონფერენციისა ერთხელ და სამუდამოთ უმტკიცებს ყველას რომ წითელმა არმიამ გაანთავისუფლა საქართველო იმპერიალისტების ბრჭყალებისაგან და ხელი შეუწყო ჩვენში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარებას. მით უფრო მომაკვდინებელია ეს გარემოება მენშევიკური არა ლეგალური ცეკასთვის, რომელიც მეტად უხერხულ მდგომარეობაში ვარდება მათი ყოფილი ამხანაგების მიერ გამოტანილი რეზოლიუციით.

გაზ. „რაბოჩაია პრავდა“ ეხება რა ამ გარემოებას, სწერს:

„წითელი არმია საოკუპაციო იარაღს წარმოადგენდა საზღვარ გარეთ გაქცეულ ბატ. ხომერიკის, დევდარიანის და მათი მეგობრების ხელში საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ. ამ ბატონებმა აუარებელი ქაღალდი და მელანი დახარჯეს იმ მიზნით, რათა პროვოკაციულად დაემტკიცებიათ მთელი ქვეყნისათვის, რომ საბჭოთა წითელი არმია საოკუპაციო არმიაა, რომ მისი საქართველოში ყოფნა სპობს და აქარწყლებს ნაციონალურ კულტურას და ყოველივე ქართულს. ერთი ფურცელიც არ გამოუშვიათ მათ, რომ საშინელი სიტყვებით არ ეგინებინოთ წითელი არმია და არ მოეთხოვოთ მისი საქართველოს საზღვრებიდან გაყვანა. არის თუ არა წითელი არმია საოკუპაციო არმია და შეიძლება თუ არა ამ ხანათ მისი საქართველოს საზღვრებიდან გაყვანის მოთხოვნა? ასე იყო კითხვა დასმული კონფერენციაზე.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ „ის არმია, რომელმაც ბოლო მოუღო საქართველოში იმპერიალისტების ხელის ფათურს და რომელიაც ღირსეულად დარაჯობს პროლეტარიატის მონაპოვარს, არ შეიძლება ჩაითვალოს და არც ითვლება საქართველოს მუშების და გლეხების მიერ საოკუპაციო არმიათ.“

შემდეგ გაზეთი ეხება რა მენშევიკებს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნას ამ გადაწყვეტილებათ დაასკვნის:

„ეს გადაწყვეტილება სასიკვდილო ლახვარია მენშევიკების გულში დამიზნებული, რომელიც შარლატანურად სპეკულიაციას ეწეოდა რევოლიუციონური არმიის საქართველოში ყოფნით“.

ცნობები

— გერმანიის რწმ. ფონ რადოვიჩი აცხადებს, რომ გერმანია გულწრფელად სცდილობს გააფართოვოს და განამტკიცოს დამოკიდებ. ს. ს. რ. კ.-თან.

— სსრკ—სა და ფინეთს შორის დაიდვა ხელშეკრულება გემების მიმოსვლის შესახებ.

— სპარსეთიდან ნიჟ. ნოვგოროდის ბაზარზე გაემგზავრა 66,000 ფუთით დატვირთული ვაგონები.

— ამ დღეებში რუსეთში დაბრუნდებიან ვენგრიის ციხიდან განთავისუფლებული 86 რევოლიუციონერი.

— 28 ივლისს, მსოფლიო ომის წლის თავზე ინგლისში მოხდა დემონსტრაციები ტრედუნიონისტებისა შემდეგი ლოზუნგით: „ძირს ომი“.

— პრინცი ფრიდრიხი ჰფიქრობს, მონარქიული გადატრიალება მოახდინოს პრუსიაში.

საბჭოთა ფედერაციაში.

გერმანიის რწმუნებულმა ფონ-რადოვიცმა ინახულა ამხ. ჩიჩერინი და მოულოცა მას გერმანიის მთავრობის სახელით ს. ს. რ. კ. კავშირის წარმოშობის შესახებ. რადოვიცმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა გულწრფელად სცდილობს შემდეგისათვის უფრო განამტკიცოს და განაფართოოს მეგობრული დამოკიდებულება გერმანიასა და ს. ს. რ. კ-ს შორის.

რუსეთი და იტალია.

იტალიის პრესა სასიამოვნოდ აღნიშნავს ამხ. იორდანოვსკის რწმუნებულად დანიშვნას იტალიაში და იმედს გამოსთქვამს, რომ მისი მოსვლა გამოაკოცხლებს რუსეთ-იტალიის დამოკიდებულებას და დააჩქარებს რუსეთ-იტალიის შორის სავაჭრო ხელშეკრულობის დადებას.

„პოპოლო დ-იტალია“ ეხება სამხრეთ რუსეთის მნიშვნელობას, როდესაც იტალიის საქონლის გამსაღებელ ბაზარს, და ხაზს უსვამს, რომ ახალი რუსეთის კონსტიტუცია ნიშნავს რუსეთის დაბრუნებას ნორმალურ ცხოვრებისადმი.

ს. ს. რ. კ. და ფინეთი

28 ივლისს ს. ს. რ. კ-სა და ფინეთს შორის ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას ფინეთის ყურეზე გემების მიმოსვლის შესახებ. ფინეთის სახელით ხელი მოაწერა ადონენმა, ს. ს. რ. კ.—მხრივ რწმუნებულმა წარმომადგენელმა ამხ. ჩერნიხმა.

რუსეთი და დანია.

რუსეთიდან დაბრუნებული დანიის ინდუსტრიის საბჭოს წარმომადგენელი ლანგე აღნიშნავს, რომ ეკონომიური ცხოვრება რუსეთში თან და თან ღორძინდება, მიუთითებს დანიის რუსეთთან სავაჭრო პერსპექტივაზე და დასასრულ გამოსთქვამს იმედებს, რომ გენნის ჩამოსვლა კოპენგაგენში რუსეთის დელეგაციასთან ერთად დიდ სარგებლობას მოუტანს დანიის და რუსეთის ურთიერთობის დამოკიდებულებას.

რუსეთი და საფრანგეთი.

ოპოზიციონურ პარტიებმა შეიტანეს საგარეო საქმეთა სასეიმო კომისიაში შეკითხვა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ ს. ს. რ. კ-ს წარმოშობასთან დაკავშირებით.

ოპოზიცია წინაამდეგია ს. ს. რ. კ—ს ცნობისა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან რესპუბლიკები, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი რიგის ხელშეკრულებაში.

სეიმმა უპასუხა, რომ მიღებული ცნობა ს. ს. რ. კ—ს წარმოშობაზე ირჩევა მინისტრთა კაბინეტის მიერ. მემარცხენე პარტიების წინადადება რუსეთის საკითხის შესახებ დისკუსიის გადატანისა სეიმის პლენუმში უარყოფილ იქნა.

რუსეთი და სპარსეთი.

სპარსეთის ვაჭრებმა გაამგზავრეს ნიჟეგოროდის ბაზარზე ენზელიდან 26.000 ფუთი დატვირთული ვაგონი თავრიზიდან.

ბავშთა ჯანმრთელობის დაცვა.

ნოემბრის შუა რიცხვებში მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის ყრილობა ბავშთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

თესვა.

წვიმიანმა ამინდმა მთელი ივლისის განმავლობაში ცენტრალურს და ჩრდილოეთ ნაპირებში რესპუბლიკისა ცუდი გავლენა იქონია ზამთარში ნათესზე და ბალახის შენახვაზე. თუ ახლო მომავალში არ დადგება კარგი ამინდები, მოსავალს დიდი ზიანი დაადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრალი და მზიანი ამინდები უკრაინისა და ნორვეგიის ქვემო მხარეში ძალიან უწყობდა ხელს მოსავალს.

ელექტროს ლამფების დამზადება.

ქარხანა „სვეტლანა“, რომელიც ომამდე 1500 ლამფას ამზადებდა დღე-ღამეში, ეხლა ამზადებს 7.500 და 20 პრ. უფრო იაფად.

მეტეოროლოგიური ბიურო.

ამიდის რეგულიარულად წინასწარ გაგების მიზნით გადაწყვეტილია მოწყობილი იქნას მეტეოროლოგიური ბიუროები ყველა სარკინის გზო კვანძების პუნქტებში.

სხვა და სხვა ქვეყნებში.

ინგლისი.

28 ივლისს, მსოფლიო ომის დასაწყისის წლის თავზე მთელ ინგლისში მოხდა დემონსტრაციები შემდეგი ლოზუნგით; „ძირს ომი“. მიტინგზე გამოსული თემთა პალატის მუშათა ფრაქციის წევრები ტრედ უნიონებისა მიუთითებდენ, რომ 1914 წლის 28 ივლისი, ეს არის დღე დიდის უჭკუობისა.

„ჩვენ მოვითხოვთ, აღნიშნულია მოწოდებაში, რათა ინგლისის ჯარები გამოყვანილ იქნან გერმანიიდან, გადაისინჯოს ვერსალის ხელშეკრულება, ცნობილ იქნას საბჭოთა ხელის უფლება, მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც ინგლისმა წინადადებით უნდა გამოვიდეს ყველა სახელმწიფოების განიარაღებაზე ურთიერთშორის შეთანხმებით.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც აღნიშნავდა, რომ ამ ჟამად მუშაობენ იგივე ძალები, რომლებმაც მიიყვანა ქვეყნები კონფლიქტის მოახლოებისა ევროპაში, რომელშიაც პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას.

საეკლესიო დღესასწაულები ახალი სტილით.

ვცრკ-მა დაადგინა გადაიტანონ რევოლიუციონური დასასვენებელი დღეები, რომლებიც ხვდებიან საეკლესიო დღესასწაულებს—ძველი კალენდრიდან ამავე რიცხვებში, მხოლოდ ახალი სტილით.

რევოლიუციონერები ვენგრიის საპყრობილეებიდან.

ამ დღეებში რუსეთში მოვა 86 რევოლიუციონერები, რომლებიც, თანახმად საგარეო საქმეთა სახ. კომისარის მიერ დადებულ ხელშეკრულებისა, განთავისუფლებულნი არიან ვენგრიის ციხეებიდან.

ფრენა.

ავიაციის დღესასწაული 2 აგვისტოს აღნიშნულ იქნება 40 დაღუპულ გმირთა ხსოვნით, რომლებიც მონაწილეობდენ მსოფლიო და სამოქალაქო ომებში.

ჩიტა.

საჰაერო ფლოტის კვირეულში ბლაგოვეშჩენსკში შეკრებილ იქნა 3.000 მან. ოქროთი

საჰაერო ფლოტის საზოგადოებაში შევიდა 900 წევრი.

ამ დღეებში საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე გეტებორგში აფრინდება **დობროლიოტის** თავმჯდომარე ამხ. კრასნიშჩეკოვი, ახალ მიღწევათა გაცნობის მიზნით საავიაციო დარგში.

სრულიად კავშირთა გამოფენა

სრულიად კავშირთა გამოფენაზე გერმანიის ფირმა **იუნკერსი** გამოაფენს თვითმფრინავს კალიებთან ბრძოლის სადემონსტრაციოთ ჰაეროპლანის საშვალებით.

გამოფენაზე მოწვეულია მთელი რიგი იტალიის სასწავლებელთა სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგიდან.

გამოფენაში მონაწილეობას იღებენ 116 ადგილობრივი სოფელთა კავშირები, რომლებიც გამოაფენენ თავიანთ ნაწარმოებთა ნიმუშებს.

მთავარ პოლიტ განათლების ექსპონატები სრულიად კავშირთა გამოფენაზე ეხებიან კულტურულ მუშაობას სოფლებში. გამოფენაზე ეწყობა ქოხი-სამკითხველო, რომელიც წარმოადგენს დღევანდელ პირობებში შესაძლებელ სოფლის ქოხსამკითხველოს, და აღნიშნავს ადრინდელ ნაკლებს ასეთებისას.

სანიმუშო ბიბლიოთეკას სათემო მასშტაბისა წიგნების შერჩევას გარდა ექნება სარეკომენდაციო სიები წიგნებისა. მთავარ პოლიტ-განათლების პავილიონში აჩვენებენ წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მეთოდებს.

ბრძოლა მალარიასთან.

მალიარიის გაძლიერებას შეაქვს დეზორგანიზაცია წარმოებაში მოსავლისთვის საფრთხის შექმნით, მალარიასთან ბრძოლისთვის ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გაიხსნა 60 სამალიარიო სადგური, გადაწყვეტილია კიდევ გაიხსნას 100. სწარმოებს ქინაქინის დარიგება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში.

ბათუმი.

მოხდა დასაფლავება ჰიდროსადგურის შენების დროს დაღუპულ ამხ. ბურმაგინისა. ჰიდრო მეტრიულ დაკვირვების დროს ამხ. ბურმაგინი გადმოვარდა 7 საჟ. სიმაღლიდან და დაიმტვრა. დაღუპულ ამხანაგის დასაფლავებაზე თავი მოიყარეს მეტალისტებისა, მშენებელთა კავშირებმა, პარტკომას წარმომადგენლებმა და სხვა. მუშათა სახლის წინ ამხ. რამიშვილმა დაახასიათა ტრაგიკულად დაღუპული მუშაკი, როგორც თავგანწირული გმირი შრომის ფრონტზე. კომუნხოზმა დააარსა ტფილისის პოლიტექნიკუმში ამხ. ბურმაგინის სახელობაზე სტიპენდია.

გამიჯვნა საზღვრებისა

სოვნარკომის უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცდა დადგენილება სპეციალურ შეთანხმებელ კომისიისა ადმინისტრატიულ საზღვრების გამიჯვნის შესახებ ოზურგეთის მაზრასა და აჭარისტანში და აგრეთვე ორივე მხრის მიერ საძოვარი ადგილების სარგებლობის შესახებ.

გადასახადი ნახირზე.

სოვნარკომმა დაადგინა შემოიღოს 1-ლი აგვისტოდან გადასახადი ნახირზე, რომლებიც იმყოფებიან საძოვრებზე: 20 კაპ. (ჩერვონც.) თითო სულ მსხვილ საქონელზე და 10 წვრილზე.

აფხაზეთი.

მოსავალი.

ცენტრსტატბიუროს უკანასკნელი ცნობით სამურზაყანოს, გუდაუთის და გაგრის მიდამოებში ხორბლის მოსავალი დამაკმაყოფილებელია. კოდორის მაზრაში სიმინდის მოსავალი კარგია, დანარჩენში—დამაკმაყოფილებელი. მოსავალი ბაღებისა, ვენახებისა და ბაღჩებისა ყველა მაზრაში კარგია. მოსავალი კოდორის მაზრაში 110 ფუთი დესიატინიდან, სამურზაყანოში 88, გუდაუთის, გუმისტის და გაგრის რაიონებში 65.

გერმანია

მონარქისტების ოინები.

ჰააგიდან იუწყებიან, რომ ყოფილი **გერმანიის** კრონპრინცი მოულოდნელად მისულა კაიზერის საცხოვრებელ ადგილში დოორში.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, მეორე შვილი ყოფილ კაიზერისა პრინცი ეინტელ ფრიდრიხი და მისი მომხრეები ამზადებენ მონარქიულ გადატრიალებას აღმოსავლეთ პრუსიაში.

სპარსეთი.

ინგლისის მისიის გაქურდვა.

ინგლისის მისიის უვნებელ კასიდან ტეგერანში მოპარულია ფულები და საბუთები.

პოლონეთი.

გაფიცვების დამთავრება.

გაფიცვები კომპრომისით დამთავრდა. მუშებმა მიიღეს 40 პროც. მომატება.

ამერიკის სენატორები პოლონეთში.

ვარშავაში მოვიდნენ ამერიკის დემოკრატი კინგი და ფერმერთა უპარტიო ბლოკის ბელადი, რომლებიც მიემგზავრებიან მოსკოვში რუსეთთან ვაჭრობის შესაძლებლობის გამოსარკვევად.

იტალია

ფაშისტების კოოპერატივები.

უმაღლეს ფაშისტების საბჭომ განიხილა კოოპერაციების საკითხები. ამ ჟამად იტალიაში არსებობს 1.46 ფაშისტების კოოპერატივები, 350.000 წევრით, რომელთა ძირითადი თანხა 43 მილიარდს უდრის.

ამერიკა

შახტების მეპატრონეთა კონფერენცია.

შახტების მეპატრონეთა და მუშათა წარმომადგენლების კონფერენცია დამთავრდა უშედეგოდ. მემაღაროენი მოითხოვენ აუცილებელ ცნობას კავშირისას. სექტემბრისთვის მოსალოდნელია ხელ ახალი გაფიცვები.

საფრანგეთი

ბელგიის პასუხი.

ბელგიის ელჩმა გადასცა 29 ივლისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტექსტი ბელგიის პასუხისა ინგლისის ნოტაზე. საფრანგეთისა და ბელგიის პასუხები გადაეცემიან ინგლისის მთავრობას 30 ივლისს.

წერილი ამხანაგ წითელ არმიელს.

(წერილი მეშვიდე)

1897—1900 წ., სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გამეფდა ერთი ცრუ მიმართულება, რომელიც უთუოდ საჭიროა გავიხსენოთ. ეს იყო ოპორტიუნისტული მიმართულება, ეგრედ წოდებულ „ეკონომიზმის“ სახელით, რომელიც შემდეგში გამოიხატებოდა: რუსის მუშა შეუგნებელია და თვითმპყრობელობასთან ბრძოლას ვერ გაიგებს და მიხვდებაო. მუშებს შეუძლიათ მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა ქირის მომატების გარშემო და სხვა, პოლიტიკა და ძალაუფლების დაპყრობა მათთვის ჯერ-ჯერობით ნაჩქარევიაო. მე ერთ ადგილას გითხარი ამხანაგო, რომ ფუჭია ეკონომიური ბრძოლა თუ პოლიტიკური ძალა-უფლება არა გაქვს ხელში. დღეს რომ ჩვენ არ გვქონდეს პოლიტიკური უფლება ხელში, როგორ ჩამოვართმევდით მემამულეებს მიწებს, მექარხნეებსა ქარხნებს და ფაბრიკებს

ამ მიმდინარეობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა 1890 წ. ლენინმა მარტოვმა და პეტროსოვმა საზღვარგარეთ შექმნეს ჯგუფი „ისკრის“ გარშემო. „ისკრა“—ეს გაზეთის სახელწოდება იყო. ეს ,,ისკრა'' და ჟურნალი ,,ზარია'' ეკუთვნოდა შრომის განთავისუფლების ჯგუფს რომელშიაც შედიოდენ პლეხანოვი აქსელროდი და ზასულიჩი. ისკრა და ზარია შეიქნა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ცენტრათ, მარქსისტული აზრების გამავრცელებლად.

1900 წ. და 1902 წ. რევოლიუციონური მოძრაობა უფრო ფართოვდება, ხშირია გაფიცვები და სხვა.

ამ დროს იწყება მზადება მეორე ყრილობისათვის, რომელიც მოწვეულ იქნა 1903 წ. ჯერ ბრიუსელში, მაგრამ რადგან იქ არ მოხერხდა შემდეგ ლონდონში გადაიტანეს: ყრილობას დაესწრო 43 დელეგატი. მეორე ყრილობამ გამოიმუშავა პარტიის პროგრამა და წესდება. ამ ყრილობამ საბოლოოდ ჩაუყარა პარტიას საფუძველი მაგრამ იმავე დროს ამ ყრილობაზე წარმოიშვა ორი მიმართულება პარტიაში. გაჩნდა უმრავლესობა და უმცირესობა; ბოლშევიკები და მენშევიკები. ამ ორი მიმართულების გაჩენა მოხდა საორგანიზაციო კითხვის გარშემო, თუ ვინ უნდა ითვლებოდეს პარტიის წევრად. აგრეთვე უთანხმოება გამოიწვია ლიბერალურ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხმა. ამ ყრილობის შემდეგ მეუმრავლესობაში და მეუმცირესებს შორის ბრძოლამ მიიღო მწვავე ხასიათი და რაც დრო მიდიოდა ეს განხეთქილება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის უფრო რთულდებოდა.. ამ დროს რუსეთის ერთ მთლიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჩაისახა ორი ფრაქცია—ბოლშევიკების და მენშევიკების.

პირველი რასკოლნიკები ანუ განხეთქილების მომხრენი იყვნენ მენშევიკები, რომლებიც არ დაემორჩილენ უმრავლესობის გადაწყვეტილების ყრილობაზე.

1905 წ. მოწვეულ იქმნა მესამე ყრილობა, ამ ყრილობაზე მენშევიკები არ გამოცხადდა და მათ მოაწყვეს ცალკე კონფერენცია. ამ დროს რევოლიუციონური მოძრაობა იმდენათ განვითარდა, რომ შეიარაღებულ აჯანყებებს ქონდა ადგილი რუსეთში.

აგრეთვე საქართველოში ეს წელი მეტად რევოლიუციონურია.

გურია იმერეთში ძალა-უფლება სოფლის ასისთავებმა და ათისთავებმა ჩაიგდეს.

კერძოდ საქართველოში, ამ დროს ბოლშევიკებს ეჭირათ ნამდვილი რევოლიუციონური პოზიცია--მენშევიკები კი იდგნენ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის ნიადაგზე და უარყოფდნენ ყოველ გვარ შეიარაღებულ გამოსვლას.

1906 წელში, სტოკჰოლმში შესდგა მეორე ყრილობა და ბოლშევიკები და მენშევიკები შეერთდნენ, ამ დროს ბოლშევიკები მოექცნენ უმცირესობაში.

მაგრამ, 1907 წ. ლონდონის ყრილობაზე ბოლშევიკები შეადგენდნენ კვლავ უმრავლესობას.

ამ წლეებში რუსეთში იწყება საშინელი რეაქცია, დამარცხდა 1905 წელს დაწყებული აქტიური გამოსვლები.

ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის სრული უთანხმოება და განსხვავებაა.

დეკემბერში 1908 წ. ბოლშევიკებმა კიდევ ითავეს შეერთება მენშევიკებთან, ეს იყო სრულიად რუსეთის კონფერენციაზე, მაგრამ მენშევიკებმა თავიანთი ტაქტიკა არ უარყვეს.

მენშევიკების დიდი ნაწილი ამ დროს ქადაგებდა ლიკვიდატორობას, გაუქმებას ყოველივე არა ლეგალური მუშაობის და ორგანიზაციების ყოველივე აქტიობის უარყოფას და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას.

ამ დროს თვით ბოლშევიკებშიც გაჩნდა რამოდენიმე ფრთა.

1912 წ. კვლავ იწყება ძლიერი გაფიცვები, მეტადრე ლენის მაღაროების მუშების დახვრეტის შემდეგ იწყება აშკარა რევოლიუციონური ბრძოლა.

გამოდის ლეგალურათ გაზეთი „ზვეზდა“ და „პრავდა.“

ბოლშევიკების გავლენა ძლიერდება.

1914 წელს პეტროგრადის მუშები გამოდიან იარაღით ხელში და აწყობენ ბარიკადებს.

ამავე წელს იწყება ომი, მეომარი სახელმწიფოების სოც.-დემოკრატები აშკარათ ემხრობიან ბურჟუაზიას და მათ ბანაკში სხვადასხვა აზრიანობა და დაბნევაა.

მეორე ინტერნაციონალის გავლენა ომის დროს იკარგება და ფაქტიურათ ინტერნაციონალი იშლება.

ბოლშევიკებმა კი ომს ომი გამოუცხადეს და მთელი ქვეყნის მუშებს ომის წინააღმდეგ ბრძოლას მოუწოდებდნენ.

მათ წამოაყენეს ლოზუნგი იმპერიალისტური ომის შეცვლა—სამოქალაქო ომით,—ე. ი. ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ომი კლასიური: „ზავი ქოხებს და ომი სასახლეებს“.

1917 წლის თებერვლის რიცხვებში დაემხო თვითმპყრობელობა და დადგა საკითხი სოციალიზმისათვის...

სწორეთ ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ფრაქცია—ბოლშევიკების—იწყებენ ბრძოლას ძალა-უფლების ხელში ასაღებათ.

ამ კითხვის გარშემო ამხანაგო წითელ არმიელო, მე გელაპარაკე.

1818 წ. მოხდა მეშვიდე ყრილობა, სადაც ბოლშევიკებმა მონახეს ნამდვილი განსხვავებელი და შესაფერისი სახელწოდება კომუნისტური პარტია.

და აი, უკვე განშორდნენ სახელგატეხილს და უკვე შებღალულ სახელწოდებას მუშათა მასსისათვის სოც.-დემ. პარტიის.

1910 წ. მერვე ყრილობამ გადასინჯა და მიიღო წესდება და პროგრამა.

1920 წ. მოხდა მეცხრე ყრილობა, 1921 წ. მეათე, 1922 წ. მეთერთმეტე და წელს კი 1923 წ. მეთორმეტე, სადაც პარტიის მთავარ ყურადღებას იპყრობდა უმთავრესად საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურად და ეკონომიურად განმტკიცების საკითხები.

თენგიზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

დაეხმარეთ გაზეთ „წითელ არმიელ“-ს

ოლდა შვიდ ივლისს შესდგა უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლის კომუჯრედის წევრთა საერთო კრება,

დღის წესრიგში იყო შემდეგი ღირსშესანიშნავი საკითხები:

1, დახმარების აღმოჩენა გაზ. „წითელ არმიელს“

2. ბიურო კოლექტივის შედგენა და პრეზიდიუმის არჩევნები და მრავ. ხვა.

პირველ საკითხზე მოხსენება გაკეთა სამხ. კომისარმა ამხ. დონაძემ ნ ფართოთ გააცნო პარტიულ ამხანაგებს გაზეთის შეჩერების მნიშვნელობა და აგრეთვე მიუთითა რომ—გაზეთი „წითელ არმიელი“ არის ერთათ ერთი ორგანო რომელსაც შეუძლია წითელ არმიელებისათვის შესაფერი ცოდნის მიცემა.

კრებამ დაადგინა შემდეგი:

ყველა პარტიულმა ამხანაგებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა გაზეთის დახმარებისათვის შესაფერი კომპანიების ჩატარებაში, ეხლა კი გაზ. აღმოეჩინოს შემდეგი დახმარებას: ყველა უეშემადგენლობა და წითელ არმიელების ჯამაგირებიდან იქნას გადადებული 10 პროც. აგრეთვე იქნას დადგმული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი იქნება გადაგზავნილი „წითელ არმიელის“ სასარგებლოთ. ამასთანავე მოეწყოს შემოწირულების შიდება მსურველებისაგან. პოლიტ კურსანტებმა (30 კაცი) შეაგროვა 9 მილიონამდი.

თავის სურვილით შემოწირულების გაღება ენერგიულად მიმდინარეობს მეთაურთა და არმიელებს შორის, ყოველივე ამის ცხოვრებაში გასატარებლათ კომისიაში იქმნა შემდეგი ამხანაგები ამორჩეული: ამხ. აფაქიძე, ჰანკვეტაძე და კობახიძე. ბიურო კოლექტივის, პრეზიდიუმში ამორჩეული იქმნენ შემდეგი ამხანაგები: გიორგაძე ჭანკვეტაძე, ასათიანი, ცომაია და კობიძე.

სამხკორი **დ. ჭანკვეტაძე.**

ჩვენი მანევრები.

დღის ოთხი საათია. ბატარეა სასროლად ემზადება. ბატარეის უფროსმა გადმოსცა ბუსოლი. თანაშემწე აწყობს პარალელურ მარაოს... ბატარეია მზათ არის.

წითელ არმიელები მოუთმენლად ელოდებიან როდის იქნება ახალი განკარგულება,—თანაც ეშინიათ... ერთი ეუბნება მეორეს: ვაი თუ გლახათ ვიმუშავეთ ზარბაზნებზე და დაგვწუნონ!.. მეორე შენ არხეინად იყავი და... საომრად!!! გაისმა ძახილი... ყველანი ამოქმედდნენ.. ცოტა სიჩუმე... ბატარეიით ცეცხლი!!! ბუმ!!! იგრიალა ზარბაზნებმა... და ჯერ სროლაში გამოუცდელი წით. არმიელები გაოცებაში მოვიდნენ ციგას დაცურების დროს,—ეგონათ დაიშალა ზარბაზანიო, სროლა თავდება. ამ დროს გამოჩნდა თვალ მადევნიდან კომისარი; წითელ არმიელები მოუთმენლად მოელიან მას,—უნდათ გაიგონ სროლის შედეგი. კომისარმა გახარებული მოაგდო ცხენი ბატარეიასთან. შეატყვენ თუ ა ა კარგი ამბავიაო, სმენას ძახილით მიაშურენ მას. აბა გვიამბეთ როგორ ვმუშაობდით?.. საუცხოვოთ ამხანაგებო!.. მაშ ვაშა ჩვენს ბატარეის უფროსს ჟურულს. ბატარეია სმენა-ა-ა!!! მარცხნივ სალამი,—ამხანაგო მეთაურნო!!! გამარჯობა ამხანაგებო!!.

გაისმა არტუფროსის ხმა,—გაუმარჯოს!!! მადლობელი ვარ ამხანაგებო კარგი სროლისათვის,—ვეცდებით... გაისმა ხმა წითელ არმიელებისა.

მზემ გადაიხარა... ბატარეია მიეშურება კარვებისაკენ.

საჭამიასხრელი

ჩვენი სააგარაკო ცხოვრება.

ქართული შეერთებული სამხედრო სკოლა ამ ჟამათ იმყოფება ეგარაკზედ დაბა სურამის რაიონში. კურსანტები გაორკეცებული ენერგიით ეწევიან მეცადინეობას. მთელი სკოლის შემადგენლობა თავის კურსანტებით და წითელ არმიელებით დიდ დახმარებას უწევენ ახლო მდებარე სოფლების გლეხობას- ეხმარებიან მათ სიმინდის თოხნაში, მკაში; უხსნიან საბჭოთა მთავრობის მიზანს და ზრუნვას. ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენმა სკოლამ მიიღო შეფობა სოფელ ტეზერისა, რასაც უწყობს ხელს შეძლებას დაგვარათ. თბილისიდან გაზეთების მოტანისთანავე ერთი მეთაური ან კურსანტი დიდი სიხარულით აარჩევს გაზეთებს, შეკრავს დიდ კონას, დაჯდება ცხენს და მოკურცხლავს სოფელ ტეზერისაკენ, სადაც ის ახალ-ახალ ცნობებს და წიგნაკებს, აწვდის სოფლელ ამხანაგებს.

ამასთანავე ერთად უნდა აღვნიშნოთ რომ სკოლასაც თან ყავს განუყოფელად უმწყ. ასეულის მცირე ნაწილი წითელ არმიელებისა, რომელთა რიცხვი არ აღწევს 18 კაცს. წითელ არმიელთა უმრავლესობა, ახალ წვეულია და მეტი. ნაწილი წერა-კითხვის არა მცოდნეა. რათა სულ მოკლე ხანში ყველანი წერა-კითხვის მცოდნე იქნება. წერა კითხვის სწავლაში და მეცადინეობაში დიდი ღვაწლი მიუძღვნის გუნდის მეთაურს ამხ. მაკარიძეს რომელიც მთელი თავისი ენერგიით მაცადინობს წითელ-არმიელებთან.

წითელ არმიელები დიდათ დაინტერესებულნი არიან აგრეთვე პოლიტიკურ მეცადინეობითაც რაც უნდა მიეწეროს ამხ. მიროტაძეს. ამხ. მიროტაძე კვირაში ასჯერ გვიმართავს ბაას რომელიც თავისი მდაბიო გასაგები ენით გვიხსნის პოლიტიკურ ყოველივე კითხვებს. ასე რომ სრული იმედით შეიძლება ითქვას ახლო მომავალში ჩვენ ყველას გვეცოდინება წერა-კითხვა და გარჩევა პოლიტიკური კითხვებისა.

წით.-არმ. **მატინოვი.**

დადგენილება ქაღალდზედ რჩება.

20 ივნის კრება გვქონდა, რომ ჩვენს 1-ლ ლეგიონში განახლებულიყო კედლის გაზეთი „წითელი დროშის“ გამოცემა. მაგრამ ეს ჯერაც ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი სარედაქციო კოლეგიის მიერ საქმისადმი გულგრილობას უნდა მივაწეროთ.

თითქმის ეხლა უფრო ეტყობა ლეგიონს გამოცოცხლება ვიდრე წინეთ, მაგრამ გაზეთს მაინც ძინავს.

კედლის გაზეთი ეს ჩვენი ავ კარგის გაზეთი იყო, და ჩვენი საუკეთესო ჭკუის მასწავლებელი. საჭირო არის ახალმა კორესპოდენტმა, ამხ. ჩაიკვიშვილმა მაინც მოკიდოს ხელი ამ გაზეთის განახლებას. და დადგენილება ქაღალდზედ არ დარჩეს.

სამხკორი. ქაარჩხაბელი,

ი. სვანიძე.

ხშირად ასეთი მეცადინეობა.

20. ივლისი, საღამოს 5 საათ. სამხკომის დავალებით ქართულ საავიაციო ესკადრილიის წითელ ყაზარმაში შემოდის წითელი მფრინავი ამხ. ფირცხალაშვილი, რომელიც გვიწვევს წ. არმიელებს სამხედრო მეცადინეობაზე. ჩვენც ათი წუთის განმავლობაში დავეწყეთ მივედით დანიშნულ ადგილს იქ სადაც ჰაეროპლანები ინახება „ანგარაში,“ მივედით ერთ დაშლილ—ჰაერ-პლანის ნაწილებთან რომელიც იქვე ეწყო. ამხანაგ ფირცხალოშვილმა დაიწყო ჰაეროპლანის ნაწილების ახსნა-განმარტება.

წითელ არმიელები გულდასმით ყურს უგდებენ მასწავლებლის ლაპარაკს. მეცადინეობა გაგრძელდა თითქმის ორი საათი, და დიდი გავლენა იქონია წ. არმ. რომლებიც სურვილს გამოსთქვამდენ, რათა ასეთი მეცადინეობა იყოს ხშირად.

უნდა ითქვას რომ წით. არმიელები, ჩვენს გუნდში უმეტესი ნაწილ ზეინკლებიდა საერთოდ სხვა და სხვა დარგის ხელოსნები არიან და შეკითხვებით ერთი მეორეს, ასწრებდენ, რომლებზედაც ამხ. ფირცხალოშვილი გარკვეულ პასუხს აძლევდა. აღვნიშნავთ რომ ასეთი მეცადინეობით ადვილად ითვისებდენ წითელ-არმიელები საგანს და ხალისით ეკიდებიან მუშაობას.

წით. არმ. **ლეჟავა.**

კოოპერაციის დღესასწაული მე-3-მე ლეგიონში.

მშვენიერი დღეა.. თან საამური სიო ნაზათ არხევს მახლობელ მდგომ ხის ტოტებს, სადაც მუშაობაა გაჩთული. წითელ არმიელების ერთი ნაწილი მოგროვილან მის ძირში და თავიანთ ჭირ ვარამზედ ბაასობენ.

მეორე ნაწილი კი წერაქვებით და ნიჩბებით ხელში გაცხარებული მუშაობენ და აწყობენ ბანაკს. მზემ გადიხარა. . საღამოს სიომ დაჰბერა და მუშაობით ოფლში გაწურულს წ. არმიელებს გული გაუგრილა.

„აბა ბიჭებო ჩქარა, ჩქარა, მოვათავებთ დღეს თუ ხვალ ბანაკის მოწყობას და უფრო გულ დასმით შეუდგებით სამხედრო სწავლას!“ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს წითელ არმიელები. ამ დროს გამოჩნდა ჩვენი სამხედრო კომისარი, რომელმაც გასცა განკარგულება რათა ლეგიონის ყველა წითელ არმიელებს მოეყარათ თავი ერთად.

წ. არმიელებიც მსწრაფლ შეგროვდენ.

— ამხანაგებო — „დაიწყო ამხ. კალანდაძემ“ დღეს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ კოოპერაციის დღესასწაული დღე არის კოოპერაციის დღე!“— მან დაახასიათა ყოვე [illegible] თუ რა მნიშვნელობა აქვს კოოპერატივს მსოფლიო მასშტაბით და განსაკუთ. მუშათა კლასისთვის, საბოლოოდ სიტყვით ამხანაგი კალანდაძე მოუწოდებს ყველა მუშების და გლეხების შვილებს რათა შემოკრბენ როგორც ერთი კოოპერაციის ირგვლივ, რითაც მუშათა კლასი შესძლებს მოუღოს ბოლო კერძო კაპიტ. ის ითავებს და დაამსხვრევს მსოფლიო კაპიტალიზმს. ტაშის ცემით წითელ-არმიელები მიჰყვებიან და აღუთქვამენ ფიცს რომ არ დარჩებ ან ისინი არც ერთი კოოპერაციის რიგებს გარეშე.

შრომიშვილი.

სალამი ჩვენს შეფს!

სრული 5 თვე სრულდება, რაც უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლას შეფი არ ჰყოლია და ამ ხნის განმავლობაში ამხრივ დიდი გაჭირვება გადავიტანეთ, ვინაიდან სკოლა დახმარებას არსაიდან არ იღებდა. დღეს კი გვეღირსა! გაზეთ „წითელ-არმიელი“-ს მე **324 №** ვკითხულობთ: „ცეკავშირს დაევალა შეფობა გაუწიოს უნცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლასო“, რამაც მთელი სკოლის შემადგენლობა აღტაცებაში მოიყვანა. როგორც უფ-პოლიტ-შემადგენლობა, ისე კურსანტები მივესალმებით ჩვენს მამობილს და უსურვებთ პირნათლად შეესრულებინოს თავისი, მოვალეობა, როგორც ასრულებდა ჩვენი ყოფილი შეფი, ამიერ-კავკასიის რკინისგზელები.

ქ. ახათიანი.

პარტიული ცხოვრება

მე 2-ე ლეგიონი.

(ინსტრუქტორის შთაბეჭდილებანი)

ბიურო-კოლექტივი, რომელიც არჩეული იყო 26 მაისს, ხელ-ახლა არჩეული იქმნა ა. წ. 21 ივლისს. აქნამდე არსებულ ბიუროს სათანადოთ გადაელახა ყველა ის დაბრკოლებები, რაც მას გზაში ხვდებოდა ახალ წვეულების მოსვლით და პარტ-ამხანახების გადაჯგუფებამ ხელი შეუშალა ბიუროს მუშაობას;—ძან თავიდანვე ვერ შესძლო სათანადო ყურადღებით მოპყრობოდა პარტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას და მთელი ეს მუშაობა ემყარებოდა პოლიტ-საათს, რომელიც სისტემატიურათ მიმდინარეობს.

17 ივლისს დაარსებული იქმნა პოლიტ-პარტ-შესამოწმებელი წრე, რომელიც უკვე შეუდგა თავის პირდაპირ მოვალეობის ასრულებას.

ბიუროს სხდომები ჩატარებულია სისტემატიურათ რასაც ადასტურებს ოქმები, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიუროს სხდომების ოქმებისთვის არ უქცევიათ სათანადო ყურადღება და მოკლებულია სად—სახეს და სწორ განხილვას—რა დეფექტსაც მიექცევა შემდეგში სათანადო ყურადღება. ბიუროს აქვს კავშირი ბათუმის პარტიულ კომიტეტთან, მაგრამ საჭიროა ეს კავშირი უფრო მჭიდრო იყოს.

ბიურო ხელმძღვანელობას უწევს ათასეულების კომუჯრედებს; აწვდის წინასწარ მასალას მორიგ კრებებზე განსახილველით და თავისი წევრები ჰყავს პიმაგრებული კომუჯრედებზე.

ბიუროს ჩაუტარებია „დეზერტირის“ კვირეული და უწევს სათანადო ხელმძღვანელობას დამხმარე კასას სადაც ამ ჟამათ ირიცხება 102 წევრი. ხდება პარტიაში შემსვლელთ მსურველების მიღება.

წარსულ ბიუროს ჰქონია 6 სხდომა, სადაც განხილულია 19 საორგანიზაციო ხასიათის საკითხები.

საერთო პარტიული კრება მოუხდენია 2-რი, სადაც სხვა საკითხებთან ერთათ განხილულ იქმნა 3 ი ორგანიზაციული საკითხი.

კომუჯრედები.

არის ჩამოყალიბებული სამი ათასეულის კომუჯრედი, რომლებსაც ჰყავს თვისი პრეზიდიუმი და მდივანი. პრეზიდიუმში არიან არჩეულნი მოწინავე ამხანაგები, პროპორციონალურათაა დაყოფილი პარტიული ამხანაგები კომუჯრედებზე. ხდება ღია კრებები, სადაც ესწრობიან უპარტიო ამხანაგები რომელთა დასწრება ძლიერ აახლოვებს უპ. ამხანაგებს კომუჯრედთან. ყველა კომუჯრედის წევრს აქვს პირადი ბარათი სადაც ინიშნება მისი საქმიანობა და კრებაზე დასწრება. არსებობს მჭიდრო კავშირი სამოქალაქო კომუჯრედთან როგორც: სანაპირო არტელის № 2 კომუჯრედთან, სანაპირო არტელის ცენტრალურკომუჯრედთან. და რკინის გზის ტვირთ მზიდავთა კომუჯრედთან. განხილული კომუჯრედების ოქმები მოითხოვენ მეტ ორგინალობას. უნდა აღინიშნოს, რომ კომუჯრედის კრებებზე არ ყოფილა შესწავლებული კომუჯრედის წევრების მორიგეობითი მოხსენებები (იქნებოდა ეს ინფორმაციული გაზეთებიდან თუ თვით ამხანაგი რასაც ისურვებდა) ამიტომ ასეთ დეფექტს მიექცევა და მიაქცია სათანადო ყურადღება ბიურო კოლექტივმა. 26 მაისიდან კომუჯრედებს ჰქონიათ ოთხ-ოთხი კრებები სადაც განხილულა საერთო რიცხვით 25 ორგანიზაციული და 9 საგიტაციო საკითხები.

დაცულია პარტიული დღე (ორშაბათი).

პოლიტ-საათი.

სისტემატიურათ მიმდინარეობს პოლიტ-საათი ახალი მეთოდით. პოლიტ-ხელებში ხდება მასალის წინასწარი განხილვა, რის შემდეგ გადააქვთ თავ-თავიანთ ათასეულებში.

დენთი.

ახალი ამბები

კვირას 29 ივლის ქართულ წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაზ. „წითელ არმიელის“ სასარგებლოდ გაიმართა საღამო. წვიმის გამო საღამო შესაფერისად ვერ ჩატარდა. შემოსავალი გამოურკვეველია.

საჰაერო ფლოტის კვირეული.

ამა წლის 4 აგვისტოდან-11 აგვისტომდე ეწყობა საჰაერო ფლოტის კვირეული. კვირეულის შესაფერის ნაყოფიერებით ჩატარებისათვის მიღებულია ყოველგვარი ზომები.

—

ამხანაგ **სეხმან ერთაწმინდელის** მიერ დაწერილი **ინსცენიროვკა** „წითელი ჰაეროპლანი“ **პოლიტგანყოფილების** მიერ გადაეცა **ახალგაზრდათა კომკავშირს, პროლეტკულტს** და სხვ. საჰაერო **ფლოტის კვირ**

ლის ჩატარების დროს დასადგმელად საგიტაციო მიზნით.

საღამო.

წითარმკლუბში 5 აგვისტოს გაიმართება დიდი შინაარსის საღამო საჰაერო ფლოტის კვირეულთან დაკავშირებით.

—

2 აგვისტოს გაიხსნება ქართულ დივიზიის ფარგლებში პოლიტმომუშავეთა მოსამზადებელი კურსები.

—

30 ივლისს შესდგა ქართული მსროლელ დივიზიის სასკოლო განყოფილების ექსკურსია მცხეთაში.

ექსკურსია მოეწყო სამეცნიერო მიზნით.

დახმარება სამოქალაქო ომების ინვალიდებს.

ოკას ლატარეიის შემოსავლიდან საქართველოს ინვალიდების სასარგებლოდ გაღებული იქნა 490.000.000 მან.

ბავშვების ავადმყოფობა სვანეთში.

სვანეთიდან იტყობინებიან, რომ იქ ბავშვები 80 პროც. დაავადმყოფებულია. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა გადასდო აღნიშნულ ბავშვების საქმიოდ და გამოსაკეთებლად 4 ნახევარი მილიარდი მანეთი.

ვაგონების გადავარდნა ლიანდაგიდან.

აჯამეთსა და სვირის სადგურებს შორის სამი ვაგონი, რომლებიც დატვირთული იყვნენ ხე—ტყით, ლიანდაგს გადასცდა. გზა აღდგენილი იქნა 6 საათის განმავლობაში.

მამა დავითის მთის გაშენება.

ამ დღეებში მამა დავითის მთის გასაშენებლად უკვე შეძენილ იქნა თესლეულობის და ნერგის საჭირო რაოდენობა.

რეორგანიზაციის მოხდენა.

მიწათ მოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს რეორგანიზაცია შინა მრეწველობის განყოფილების, მისი უმოქმედობის გამო.

ახალი ოპერა.

ახალგაზრდა კომპოზიტ. გიორგი სვანიძემ დასწერა საბავშო ოპერა „ოქროს თავთავი“, რომლის დადგმა განზრახულა მომავალ სეზონში.

ახალი რომანი.

ია ეკალაძემ დასწერა რომანი ქართველ ინტელიგენტთა ცხოვრებიდან: „ცხოვრების ტალღებში“.

რაზედ გვწერენ

თავგასული მნე.

წარსულს 1921 წ. ყოფილ მე-2-რე შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის მე-2-რე ბატარეიაში იყო ერთი სამნეო ნაწილის უფროსი ასათიანი; მსახურობდა მასთან ამხ. ბოკუჩავა, რომელიც იყო პოლიტხელათ ამავე ბატარეიაში. აქ მან მიიღო ერთი მაზარა უფშემადგენლობისა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ამხ. ბოკუჩავა ჩამოყენებულ იქმნა წით-არმიელად, რის გამო მოქალაქე ასათიანმა იხელთა დრო და როგორც მოგეხსენებათ „დაჰრილ ლომს ვირმაც წიხლი დაჰყოლა“,—ისე მოხდა. ჭიგრ: თუ არა მნემ, ხელად მოთხოვა მაზარა და უთხრა: „თქვენ უკვე უფშემადგენლობა არ ხართ და მიიღეთ წით.-არმიელის ძველი შინელი. ეგ კი ჩამაბარეთ რათა რომელიმე ქეთაურს მივსცეო. ამაზე ამხ. ბოკუჩავამ კანონიერად უპასუხა, რადგანაც 7 დღეში ისევ აღდგენილი იქმნა მისი უფლებები და რასაკვირველია—ჩვენს სამნეო ნაწილის უფროსს კოვზი ჩაუვარდა ნაცარში.

ბოკუჩავა გადაყვანილ იქმნა, საბანაკო დროს ერთმანეთს ისევ შეხვდენ. ცხოვრობდენ კარგად... მაგრამ უცაბედმა შემთხვევამ ყველაფერი დაამტკიცა. ბოკუჩავას შვილი მოუკვდა, ცოლი ავად გაუხდა... დახმარება სჭირდებოდა. მიმართა ისევ იმ სამნეო ნაწილის უფროსს.

მან კი მლაშედ უპასუხა და როგორც დედალმა რომელმაც არ დამარხა გლეხის შვილი სანამ გლეხმა მას ვითომდა „ძველი ვალი“ არ გასწორა, ისე მოქალაქე ასათიანმა უპასუხა:

„მე მაქვს ფული მაგრამ არ მიგცემ პრინციპისთვის“. აქ ორი პრინციპია: ან ეჯავრება პოლიტ. შემადგენლობა, და თუ ეჯავრება ცხადია—მტერია საბჭოთა ხელისუფლების, ან ძველი მოიგონა. იმავ დროს როცა „თავის ამხანაგებისთვის“ შოულობს საქეიფო ფულებს ავანსის სახით, გაჭირვებულ ამხანაგს კი კაპეიკსაც არ აძლევს, (მე მგონია როგორც პოლიტ ხელს). მე კი მოვაგონებ, რომ ეხლა საბჭოთა ხელისუფლებაა და ფრთხილად მოქალაქე ასათიანო!

გვერდით მეთვალყურე.

სამხედრო საქმე

სამხედრო კავშირის საშუალებათა განვითარება.

იმპერიალისტური ომი ისტორიაში უმაგალითოა, სადაც მრავალმილიონიანი არმიები და მთელი შეიარაღებული ხალხები იღებდენ მონაწილეობას. ომის ასპარეზი გადაჭიმული იყო ზღვიდან ზღვამდე, სადაც საჭირო იყო ეს მრავალ რიცხოვანი ხალხი, მიზანშეწონილ მოქმედებისათვის, შეკავშირებული ყოფილიყო, რასაც თანამედროვე ომში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ომის ვითარებამ აღნიშნა, რომ ყოველი დამარცხება იყო შედეგი კავშირის უქონლობისა.

ნამეტნავად ამ მხრივ რუსეთის არმია განირჩეოდა. 1914 წელში სამსონოვის არმია ტანენბერგთან სრულიად განადგურდა იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ მოწყობილი კავშირი და, მიუხედავად დაქსასულ ნაწილების თავგანწირულ მოქმედების, არმია შემორტყმული იყო და გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდათ.

ზოგიერთის აზრით, ეს ბრძოლა გერმანელებს რომ წაეგოთ მთელი ომი მათთვის საბედისწეროდ გადასწყდებოდა. რადგან ამ დროს ფრანგებმა მათ დიდი დანაკლისი მიაყენეს მარნაზედ.

რენენკამფის არმიის უკან დახევა და მისი დამარცხებაც კავშირის უქონლობით იყო გამოწვეული. აღმოსავლეთ პრუსიაში მეათე არმიის განადგურება, მეოცე კორპუსის დაღუპვა და მრავალი სხვა დამარცხება, რაიც რუსის არმიას ხვდა წილად, ყველა იყო გამოწვეული კავშირის სათანადო მოუწყობლობის გამო.

საერთოდ, წარსულ ომში, რუსის სარდლობამ დიდი უნიჭობა, მოუმზადებლობა და უვიცობა გამოიჩინა, ბრძოლის ვითარებამ მათ ვერ დაანახვა დიდხანს ის, რის გამოსწორება შესაძლო იყო და დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა და რასაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ.

იქ სადაც კავშირი ცოტად თუ ბევრად კარგად იყო მოწყობილი, იქ უბედურების თავიდან აცილება მუდამ შესაძლებელი იყო, კარგად მოწყობილი კავშირი მუდამ თავდებია ბძოლის გამარჯვებისა, რამაც გამოიწვია საკავშირო საშუალებათა ტეხნიკის უაღრესად განვითარება.

1917 წელს გერმანელებმა არმიაში შემოიღეს საველე ტელეფონის აპარატი მბგერი (ფონიურ) გამოსაძახით, 4 კილოგრამის წონისა. ამ გვარ აპარატისათვის არსებობს ზარის დამატებითი მოწყობილება. ეს აპარატები ძალიან, გამძლე და ნაყოფიერი არიან სამუშაოთ და გერმანიის ყველა ნაწილებში შემოღებული.

აგრეთვე შემოღებულია ჯიბით სატარებელი ტელეფონი, რომელიც უელემენტოთ მუშაობს და განსაკუთრებით მოძრაობის დროსაა გამოსადეგი-კავშირისათვის: მოწინავე ბარაებთან შესაკავშირებლად და სხვა; მხოლოდ ამ აპარატის ნაკლულოვანება ისაა, რომ მხოლოდ 3—4 ვერსზედ შეიძლება მათი სარგებლობა.

არტილერიისათვის შემოღებულია მაღლა მოლაპარაკე ტელეფონის აპარატი. აპარატიდან რამოდენიმე ნაბიჯზე დაშორებით ისმის ლაპარაკი.

ინგლისურ არმიაში შემოღებულია სატელეგრაფო— ტელეფონო ფოლერფონის აპარატი, რომლითაც ერთდროულად ლაპარაკიც და დეპეშის გადაცემა შეიძლება.

ამ ჟამათ ევროპის ყოველი სახელმწიფო ცდილობს გააუმჯობესოს სატელეფონო საქმე და აწარმოებენ ცდებს ამ დარგში.

გ. ბ.

მეცნიერება და ტეხნიკა

უდიდესი გემი.

ათასი ამერიკელი დიდი ინტერესით ათვალიერებს მთელ ქვეყანაზე უდიდეს გემს „ლავიაფანს“. რომელიც შეკეთების შემდეგ ახლახან ჩაუშვეს ოკეანეში.

„ლავიაფანი“ ეს ყოფილი გერმანელების გემია, რომელიც ააშენეს მათ 1914 წ. ხოლო ომის შემდეგ ნადავლის განაწილების დროს წილად ხვდა ამერიკელებს.

ეს გემი იმდენად უზარმაზარია, რომ სახელგანთქმული ისპანიური არმადის გემები ყველა ერთად აღებული, არაფერს არ წარმოადგენენ, თანამედროვე ზღვის საკვირველება „ლავიაფანთან შედარებით“.

ამ გემის შეკეთება დაუჯდათ ამერიკელებს 6110,000 დოლარი. ეს ისეთი დიდი თანხა არის, რომლითაც შეიძლება ერთი სრულიად ახალი საოკეანო გემის აშენება.

ინგლისიც კი, რომელიც ზღვათა მეფეთ ითვლება და რომლის განკარგულებაში უდიდესი სავაჭრო ფლოტია, ვერ დაიკვეხნის მსგავსი გემების თავის განკარგულებაში არსებობაზე.

აღნიშნული „ლავიაფანი“ უკვე გამზადებულია საზღვაო რეისების შესასრულებლად. ინგლისის სახელგანთქმული გემები: „აკვიტანია“, „ოლიმპიკი“ და „ბერენგარია“, რომელთა კოლოსალურობას გაკვირვებაში მოყავს მთელი კაცობრიობა, „ლავიაფანის“ წინაშე ლილიპუტებათ გამოჩნდებიან, იმ დროს, როდესაც „აკვიტანიაზე“ 120 კაჩეგარი მსახურობს.

„ლევიათანს“ მართლა შეიძლება უწოდოთ საკვირველი გემი, რომელსაც შეუერთებია, შემოუკრებია თავის თავში თანამედროვე კომფორტი მთელი თავისი წვრილმანებით.

მარტო ერთი სამკითხველოს მოწყობა გემზე დამჯდარა ნახევარი მილიარდი დოლარი.

„ლევიათანის“ თითეულ მგზავრის მდგომარეობა, მართლაც, რომ სახარბიელოა.

უბედურება იმაშია, რომ ამ უდიდესი გემით ყველას არ შეუძლია მგზავრობა, რადგან მეტად ძვირია სამგზავრო ფასები.

უმშვენიერესი დარბაზებს და თეატრს რომელიც მოწყობილია გემზე, გაკვირვებაში მოყავს თითეული მნახველი, თავისი სილამაზით.

თითეული მგზავრი, რომელიც ასეული მილებით დაცილებულია ხმელეთის ნაპირებს სრულ დამშვიდებას და სულიერ დაწყნარებას პოულობს მგზავრობაში, გემზე არსებულ უდიდეს ჰალებში.

პირველი კლასის კაიუტები ისეთი მოხერხებულად არის მოწყობილი რომ მასში მოთავსებული ადამიანი სრულიად ივიწყებს რომ ის იმყოფება წყალში. მას ჰგონია, რომ ის თითქოს ცხოვრობს, რომელიმე დიდი ქალაქის პირველ ხარისხოვან ოტელში. კაიუტები შეერთებული არიან ერთმანეთთან ტელეფონებით. ზოგიერთ მათგანს თან აქვს აგრეთვე ოთახები აბაზანებით (ვანებით).

მგზავრს სრულიად არ ესაჭიროება ქვედა კაიუტებიდან ავიდეს ზევით პალუბაზე.

ამ დანიშნულებისათვის გემზე მოწყობილია ლიფტები (ელევეიტორი) დავიწყებული არ არის აგრეთვე არც სპორტსმენები.

მათთვის მოწყობილია დიდი აუზები საბანაოთ, საბილიარდოები და სხვა. ყველა ამას გარდა გემის მგზავრებს შეძლება ეძლევა ყოველ წუთში გაიპარსოს იქვე არსებულ საპარიკმახეროებში, გადიღოს სურათები და თუ უნდა კიდევაც რადიო ტელეფონებით ცნობები გაგზავნოს ქვეყნის ყოველ კუთხეში, რომელსაც მიიღებს მისგან, გემის რადიო სადგური და გაგზავნის დანიშნულებისამებრ.

მთელ ქვეყანას მოწყვეტილი და სადღაც ოკეანის სივრცეში გადაკარგული მგზავრი ყოველ დღე იღებს ახალ გაზეთებს, რომელსაც სცემენ თვით გემზე და კითხულობს მასში სრულიად ახალ ახალ ამბებს, რომელიც მიღებულია გემზე არსებულ რადიო სადგურის მიერ დედამიწის ყოველი კუთხიდან.

ჭიამაია

ფრთხილად!

„2 ლეგ. შტაბის სამწყობრო ნაწილის გამამწერი **ასათიანი**, თავის სიმაღლეზე არა სდგას მასთან მისულ წით. არმიელებს აწვალებს და აფერხებს ქაღალდებს“.

„წით. არმ.“ № 328.

მოქალაქე ასათიანს.
ვუძღვნი ამ ლექსს, ლაზათიანს;
რითა ჩვენს ჯარს ნათელ მზიანს.
არ აყენებდეს ის ზიანს!

—არ გეგონოს ძველი დრო,
ჩემო კარგო ბიჭუნი!

სიფრთხილე უნდა უფრო
რომ არ ვინ დაგდოს წუნი.

ჩვენს ამაყ წითელ ჯარში
შენ გვარებს არა აქვს ბინა
და ამ ცეცხლიან ქარში
წიხლით გაგიდებს წინა!

დ.

ბრძანება. № 103

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტიკური განყოფილებისა

23 ივლისი 1923 წ. ქ. ტფილისი.

ქართულ დივიზიის ყველა ნაწილების კომისრებს, სამხედრო კომისრების თანაშემწეებს, ნაწილების პასუხის მგებელ ორგანიზატორებს.

უსახსრობის გამო იძულებული გავხდით დროებით გაზ. „წითელ არმიელი“-ს გამოცემა შეგვეჩერებია. პოლიტ-განყოფილებას ღრმათ სწამს, რომ გაზეთის შეწყვეტა ერთი კვირითაც კი დიდი დანაკლისი იქნება, როგორც კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში ისე სამწყობრო მუშაობის საქმეში ქართულ ნაწილებში. ამიტომ გაზეთი ისევ თქვენ ლეგიონებმა, ათასეულებმა და ასეულებმა უნდა დააყენოთ ფეხზე. ამიტომ გიბრძანებთ საჩქაროთ 25 ივლისიდან შეუდგეთ გაზეთის კვირეულის ჩატარებას. გააშუქეთ გაზ. „წითელ არმიელი“-ს მნიშვნელობა და გამონახეთ სახსარი, საღამოების მოწყობით. თითო დღის ჯამაგირის გადადებით და სხვა. დაუკავშირდით პარტიულ კომიტეტებს და საბჭოებს, ალმასკომებს კვირეულის ხეირიანად ჩასატარებლად. სასწრაფოთ გამოგზავნეთ საშეფო ფულიდან ხვედრი ფული, პროცენტები პოლიტგანყოფილების სახელზე.

ბრძანება ესე სასწრაფოთ გადაეცეს ნაწილებს და წაკითხულ იქმნას ყველა ლეგიონებში და ბატარეიებში.

ქართულ დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტგანყოფილების უფროსი: თენგიზ ჟღენტი.

საგიტაციო-საპროპაგანდო ნაწილის უფროსი ეგიკოვი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც.

ტირაჟი 1200.

სამხედრო სტამბა